ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წელიწადი მეხუთე — ოთხშაბათი, 30 ივლისი 1919 წ. № 160 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის— 2 მ. 50 კ. [illegible]ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!... მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!...

დაწმენდილი **არაყი, კონიაკი და კახური ღვინო**

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—6

პორუჩიკი გრიშა წერეთელი ამით აუწყებს ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ ხუთშაბათს 31 ივლისს ს. ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათ. გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის საყვარელის ძმის

გიორგი (ქიქია) ილარიონის ძის

წერეთლის

სულის მოსახსენებლად.

(1—2556—1)

კახეთის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მარიამობისთვის 1-დან საადგარაკო მატარებელი თბილისიდან მუღანლომდე № 16 აღარ ივლის თბილისიდან თელავამდე და სად. გურჯაანიდან სად. წნორის წყლამდე ივლიან მატარებლები №№ 4, 3, 6 და 5. შემდეგი გარიგებით:

№ 4 მატარებელი:

თბილისიდან გადის დილის 9 საათზე.
გურჯაანში მიდის შუადღის 3 ს. 20 წ.
თელავში „ „ 5 ს. 35 წ.

№ 3 მატარებელი:

თელავიდან გადის დილის 8 ს. 38 წ.
გურჯაანში მიდის დილის 10 ს. 20 წ.
თბილისში „ ნაშუადღევის 4 ს. 50 წ.

№ 6 მატარებელი:

გურჯაანიდან გადის შუადღის 4 საათზე.
წნორის წყალში მიდის შუად. 5 საათზე.

№ 5 მატარებელი:

წნორის წყლიდან გადის დილის 9 ს. 30 წ.
გურჯაანში ჩადის დილის 10 ს. 30 წ.

2—148 1

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება აცხადებს რომ 12-ს მომავალს აგვისტოს, დღისით 12 საათზედ ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით განცხადებით საჯარო ვაჭრობა 20.000 ლეიბის პირის და 20.000 ბალიშის პირის შეკერვაზედ საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის. ვაჭრობა შეუძლიანთ იმათ ვისაც აქვთ სამისო კანონიერი უფლება. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 12 აგვისტოს, 12 საათამდე, საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზედ და ისიც რომ კისრულობენ ზემოხსენებულ ლეიბის და ბალიშის პირების შეკერვა-ჩაბარებას, თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშებისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზედ დაკრული უნდა იყვეს ოთხი მანეთის ღირებული საღერბო მარკა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით, თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასები თითო ლეიბის და ბალიშის პირის შეკერვაზედ. ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი, ანუ დაბეჭდილი, სიტყვიერებით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეების პირობებისა.

ლეიბის და ბალიშის სანიმუშო პირებისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა, ცხრა საათიდან პირველ საათამდე, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ბარიატინსკი ქუჩა № 10.

(3—146—2)

განცხადება.

კახეთის რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ქალაქ თბილისში მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე (ზემორე ნათქვამ სამმართველოში—ელისაბედის ქუჩა № 73) გაიცემა საიჯარო ვაჭრობით ბუფეტები სადგურ იორისა, საგარეჯოსი და ბადიაურისა.

ვისაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, უნდა გამოგზავნოს სათანადო განცხადება ან ფოსტით, ან და მოიტანოს იგი პირადად.

განცხადება უნდა იქნეს დაბეჭდილი კონვერტში და უკანასკნელზედ უნდა ეწეროს: „კახეთის რკინის გზის სამმართველოში — ელისაბედის ქუჩა № 73 ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ“.

ხსენებულ განცხადებას უნდა ეკრას ორი მანეთიანი საღერბო მარკა და უნდა იქნეს მიღებული იგი ნათქვამ სამმართველოში 15 აგვისტოს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა.

განცხადებაში უნდა იქმნეს მოხსენებული სახელი, მამის სახელი და გვარი მთხოვნელისა და აგრეთვე რაოდენობა თანხისა, რომელსაც იძლევა იჯარად მთხოვნელი.

განცხადებაში უნდა იდვას უსათუოდ კვიტანციები კახეთის რკინის გზის კასაში ჯერ-ჯერობით საწინდრის შეტანისა სად. საგარეჯოს ბუფეტზე 1500 მან. დანარჩენებზე კი ხუთას-ხუთასი მანეთისა. ამ საწინდრის შეტანა შეიძლება როგორც კახეთის რკინის გზის მთავარ კასაში, აგრეთვე რომელიმე სად. კასაშიაც.

განცხადება უსაწინდროდ არ განიხილება. იმ პირთაგან შეტანილი საწინდარი, რომელთა პირობებიც მიუღებელი იქნება, საჩქაროდ დაუბრუნდება პატრონებს.

გზის მმართველობა იტოვებს უფლებას ბუფეტი მისცეს არა იმას ვინც უფრო დიდს საიჯარო გადასახადს შემოაძლევს მას, არამედ იმას ვინც უფრო სასურველი იქნება მისთვის.

გზის მმართველის მაგიერი ინჟინერი №
ექსპლოატაციის უფროსი ბ. მაჭავარიანი.

3—147—2

ქართ. სამუსიკო საზ-ბის და ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირის

კაპელა

(ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი—40 სულიდან)

კომპოზიტორ

დ. არაყიშვილის

ლოტბარობით შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა

სრულიად ახალ თხზულებებს

10 აგვისტოდან **გაემგზავრება** დასავლეთ საქართველოში და გამართავს კონცერტებს შემდეგ დაბა-ქალაქებში:

1. ფრონტი
2. გაგრა
3. სოხუმი
4. ბათუმი
5. ოზურგეთი
6. სამტრედია
7. ქუთაისი
8. ხონი
9. ჭიათურა
10. ზესტაფონი
11. ფოთი
12. ზუგდიდი
13. აბაშა
14. სამტრედია
15. ქუთაისი
16. ხაშური
17. ბორჯომი
18. წალვერი
19. გორი

პროგრამა ადგილობრივ გამოცხადდება.

1—150—1

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მიწ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების საგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლუციური საგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10—6—3

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთა რწმუნებულების

საერთო საგანგებო სხდომა,

რომელიც დანიშნული იყო 30 ივლისს გადაიდო შემდეგ დროისათვის.

დღე კრების მოწვევისა იქმნება ცალკე გამოცხადებული.

3—142—1 გამგეობა.

საქართველოს დარღვევის წინააღმდეგ

დაშნაკელების პრეტენზია საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე ემყარება რეალურ მოსახლეობის პრინციპს.

ომამდე და რევოლუციამდე ქართული სოციალისტური პარტიაც ამავე შეხედულებაზე იდგნენ საქართველოს ტერიტორიის შემოხაზვის საკითხში; წინდაწინ საკუთარის ინიციატივით განუსჯელი სოციალისტები სომხებს— სომხებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიას უთმობდნენ, თათრებს— კიდევ თათრებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიას. საქართველოს მიწა-წყლის ავანსად გაბოძებას ჩვენმა სოციალისტებმა ერთის მხრივ თავიანთი მიმდევრები შეაჩვიეს, ხოლო მეორეს მხრით ჩვენი მოსაზღვრე სომხები და თათრები. საქართველოს დარღვევის იდეა აეგო რეალურ მოსახლეობის პრინციპზე.

თუმცა დღეს ჩვენმა სოციალისტებმა ეს პრინციპი დააგდეს, როგორც თვითკმარი პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიის შემოსახაზავად, მაგრამ იგი არ დაუგდიათ სომხებს. რეალური მოსახლეობა მათი პირველი და უკანასკნელი საბუთი. ეს რომ ხელიდან გაუშვან, უნდა ბაგები დაიდუმონ და ხელები წერად გაიუქმონ.

დღეს ჩვენ წამოვაყენეთ ისტორიული საკუთრების უფლება და სახელმწიფოს ეკონომიური და სტრატეგიული მთლიანობა—როგორც პრინციპი საქართველოს საზღვრების შემოვლებისა. სომხები ისევ ისე რეალურ მოსახლეობის პრინციპს გვიპირდაპირებენ. ფაქტიდან რომ გამოვიდეთ, საქართველო ეთნოგრაფიულ ფერად-ფერადობას წარმოადგენს, ქართული ელემენტის დიდის სიჭარბით 77 პროც. წინააღმდეგ არა ქართველის 23 პროც. ეს ფაქტი რომ საქართველოს ტერიტორიის გადამიჯვნის პრინციპად გამოვაცხადოთ, საქართველო დაიღუპება, აღარ იარსებს. მისი სახელმწიფოებრივი სხეულის მთლიანობა სამუდამოთ დაირღვევა. მას ჩამოშორდება მისი საუკუნოებრივი ორგანიული კუთხეები. საქართველოს ერთი ნაწილი სომხეთს შეემატება, მეორე აზერბაიჯანს. საქართველოს აღსასრულიც დადგება.

ამგვარად, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა არსებითად უარყოფს რეალურ მოსახლეობის პრინციპს ჩვენც რეალურად და ფაქტიურად უნდა უარვყოთ იგი ერთხელ და სამუდამოთ, როგორც საქართველოს დამრღვევი პრინციპი.

სამშობლოს დაცვის იდეური საბუთი გვეკარგება, თუ იგი ნაწილობრივ შევიწყნარეთ. მაგალითად, ბორჩალოს სომხებით დასახლებული ნაწილი რომ სომხეთს დაუთმო, რა უფლებით, ან რა ლოღიკით გინდათ საქართველოს ფარგლებში გააჩეროთ ბორჩალოს მეორე ნაწილი, თათრებით დასახლებული?

თუ სომხობას მიეცა უფლება კუთხურად ჩამოწყდეს საქართველოს და სომხეთს შეუერთდეს, ამგვარსავე უფლებას მოითხოვს თათრობაც. ამას მოჰყვება საქართველოს აწეწ-დაწეწვა. და როდესაც ზოგიერთი წრეები დღეს ლაპარაკობენ ბამბაკ-ლორის დათმობაზე, ისინი ვერ გრძნობენ რომ ამით ჰქმნიან კატასტროფიულ პრეცედენტს საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისთვის. ამით ყოველ არა—ქართველს ენიჭება სუბიექტური უფლება, ქვეყნის მმართველი იდეის სანქციით, სახელმწიფოებრივ—ტერიტორიულ თვითგამორკვევისა: დღეს არა ქართველი კი არა, ბევრი ქართველიც არ არის შეზრდილი საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეასთან. ასი წლის მონობამ ქართველობა გადააგვარა და პსიხოლოგიურად მოსწყვიტა საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითმყოფობის იდეას. საქართველოს არა ქართველმა ელემენტმა ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმად განიცადა. ესენი აზროვნებით და ფსიხოლოგიურის თვითგრძნობით საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემქნელი აგენტები კი არ არიან, არამედ მისი დამქსაქსავი ელემენტები. ასეთ პირობებში ყოვლად შეუწყნარებელია ამგვარ ელემენტებს მიენიჭოს სუბიექტური უფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მის ტერიტორიისადმი თავისი პოზიციის გამოსარკვევად.

ჩვენ დღეს ვქმნით საქართველოს სახელმწიფოს. ჩვენმა ნებისყოფამ სახელმწიფოებრიობის შემოქმედ იდეას უნდა დაუმორჩილოს ყოველი მოქალაქე და საქართველოს ყოველი კუთხე. ამ იდეას ათასი წლობის სიცოცხლე და შინაარსი აქვს. მისი საბრძანებელიც ათასი წლების განმავლობაში, შემოიხაზა ქართველთა მოდგმის თავდადებით. ყველა პრინციპ შორის ამ საბრძანებლის მთლიანობის, მაშასადამე საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობის სიმტკიცეს, იცავს შეერთებული ისტორიული და ეკონომიურ-სტრატეგიული პრინციპი. ყველაზედ უფრო რადიკალურად მას არღვევს და შლის რეალური მოსახლეობის პრინციპი. არჩევანი ცხადია.

ვინც საქართველოს დარღვევის წინააღმდეგია, მან აბსოლუტურად უნდა უარჰყოს რეალური მოსახლეობის პრინციპი.

„კლიაუზების“ საპასუხოდ

გაზეთ „კლდეს“ თავიდანვე ერთი მძიმე სენი დასჩემდა. პირადულ კომპანიას აწარმოებს ლანძღვა-გინებით თავის მოწინააღმდეგეთა შესახებ. პირადათ ჩემი ლანძღვა გინებით „კლდის“ მეთაურებმა თავისი გაზეთის ყველა ფურცლები აავსეს პირველი ნომრიდან უკანასკნელამდე. ამავე დროს ისინი გაურბიან თავის მოწინააღმდეგებთან სერიოზული იდეური კამათის წარმოებას.

ჩემს შესახებ მათი პირადული კომპანიისათვის მე არასოდეს მიპასუხნია. არც ეხლა ვფიქრობ ასეთს საქმეში ჩარევას. ალბად ეს მათ ისე ესმისთ, რომ მათს მოწინააღმდეგეთ მათ შესახებ ასეთი კომპანიის წარმოება არ შეუძლიანთ. ვარწმუნებ „კლდის“ მეთაურებს, რომ, ეს შემცდარი აზრია. როდესაც ჩვენ დავრწმუნდებით, რომ „კლდის“ ჯგუფი საბოლოოდ გაურბის იდეურ პარტიულ კამათს და პირადულ ლანძღვა-გინებით უნდა პარტიული საკითხების გადაჭრა, მაშინ ალბად ჩვენც იძულებული ვიქნებით ასეთს მათს მოღვაწეობას სათანადო პასუხი გავსცეთ და მაშინ გამოირკვევა გვაქვს თუ არა ჩვენ „კლდის“ მესვეურების წინააღმდეგ პიროვნული ბრძოლის წარმოებისათვის საჭირო ძალა და საშვალება.

დღეს დღეობით კი ჩვენ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ „კლდის“ ჯგუფის მხოლოდ ისეთი „კლიაუზები“, რომელიც საზოგადო ხასიათის საკითხების შესახებ ფაქტების აშკარა დამახინჯებაში გამოიხატება. „კლდის“ უკანასკნელს ნომერში, მოთავსებულია წერილი „ეროვნულ-დემოკრატების კლიაუზები“ სადაც ორი გარემოება არის აღნიშნული შესახებ არჩევნებისა და ორივე შეთხზული და გადამახინჯებულია.

პირველი: არ არის მართალი, თითქოს „ვ. ასათიანმა მოსთხოვა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ დამატებითი არჩევნების დღე სვანეთ-მთიულეთ-ხევსურეთში შემოდგომას (ნოემბერში) დაინიშნოს“. საქმის ვითარება შემდეგია; პარლამენტის კანონი მოითხოვდა, რომ დამატებითი არჩევნები მომხდარიყო ექვსი თვის განმავლობაში დღიდან პირველი არჩევნებისა. მაშასადამე ან ამ დროსთვის (14-15 აგვისტო) უნდა მოგვეხდინა დამატებითი არჩევნები, ან და შეგვეტანა დეკრეტი დამფუძნებელს კრებაში, რომ არჩევნების ვადა კიდევ გადადებულიყო. როდესაც ეს საკითხი სწყდებოდა, არჩევნების უკანასკნელს ვადამდის ექვსიოდე კვირა იყო დარჩენილი. ამავე დროს საარჩევნო მუშაობა არსად არ იყო დაწყებული, სვანეთთან ყოველივე კავშირი შეწყვეტილი

უკანასკნელი ცნობები

გერმანიაში დიდი საერთო გაფიცვები დაიწყო.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბულგარეთის ხელშეკრულების საზღვარო და სამხედრო პირობები.

მკათათვის 22 რუმინელებმა საბჭოთა ჰუნგრეთის ჯარი სასტიკად დაამარცხეს და ხოდმეზო კასარტელი დაიბრუნეს.

ლონდონში მაღაროს მუშათა გაფიცვები დასრულდა.

ფინეთის პრეზიდენტად სეიმმა პროფესორი შტოლ ბერგი აირჩია.

ხორვატია სერბიისაგან სრულ გამოყოფას მოითხოვს.

პსკოვისა და ხარკოვის მიმართულებით საბჭოთა ჯარი იხევს.

დენიკინმა კონსტანტინოგრადი და ისეროვკა აიღო.

არხანგელსკის ჯარში აჯანყებულმა ჯარისკაცებმა 5 ინგლისელი და 9 რუსი ოფიცერი მოჰკლეს.

იყო მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ დღეებში გაიგზავნა იქ კომისია. აფხაზეთის შესახებ არავითარი ცნობები არ იყო. მესხეთ-ჯავახეთში მდგომარეობა, შედარებით უკეთესი იყო. მიუხედავად ამისა „კლდის“ მეთაური ბ. ვეშაპელი მოითხოვდა, რომ დამატებითი არჩევნები 10 აგვისტომდე მოხდენილიყო. მას ორი საბუთი მოჰყავდა. ერთი — საჭიროა განაპირა ქვეყნების საქართველოსთან დაკავშირება დამფუძნებელ კრებასთანაო და მეორე — ის პატარა ჯგუფები მეტად ცუდს მდგომარეობაში არიანო. ეროვნულ-დემოკრატიული წარმომადგენლების აზრი შემდეგი იყო. 14-15 აგვისტომდე უფრო ადრე საარჩევნო მუშაობის დასრულება ტექნიკურად შეუძლებელია. თუ ამ დროისთვის მთავრობას საქმის შესრულების იმედი აქვს, დამატებითი არჩევნები 14-15 აგვისტოსთვის დაინიშნოს, მაგრამ უკეთუ აღმოჩნდება, რომ წესიერად საქმის მოწყობა ამ დროისთვის არ ხერხდება, დეკრეტი გამოიცეს და არჩევნები ერთი თვით უფრო გვიან დაინიშნოს. ეს დრო იქნებოდა შუა ენკენისთვე. მთის გზების შეკვრის საკითხი მაშინ აღიძრა, ხოლო თქვენი მორჩილი მონა ამტკიცებდა, რომ ახალი სტილით 14 15 ენკენისთვეს, ანუ ძველი სტილით ენკენისთვის დამდეგს სვანეთის გზები არასოდეს არ შეკრულა. ვისი წინადადება იყო საქმის ინტერესთან უფრო დაახლოვებული ბ. ვეშაპელის თუ ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლის?

დიაღაც რომ უნდა ერიდებოდეს ამ საკითხის აღძვრას „კლდის“ მეთაურები მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოირკვა, რომ არამც თუ უფრო ადრე, არამედ 10 აგვისტოსთვისაც არ ხერხდება დამატებითი არჩევნების მოწყობა აფხაზეთში და შეიძლება კიდევ სხვაგან. როდესაც „კლდე“ ასეთს „კლიაუზებს“ აქვეყნებს, ცენტრალურ კომისიას უკვე შემუშავებული ჰქონდა დეკრეტი იმის შესახებ, რომ იმ კუთხეებში, სადაც დამატებით არჩევნები 10 აგვისტოსათვის არ ესწრება, არჩევნები მოხდეს სამი თვის განმავლობაში. დაე „კლდემ“ უპასუხოს თავის მკითხველს — რა უმჯობესი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის: დამატებითი არჩევნები რომ მომხდარიყო ერთი თვის დაგვიანებით მაგრამ ყოველგან ერთდროულად, თუ დამატებითი არჩევნებიც რომ ნაწილდება და ზოგან ხდება ეხლა და ზოგან კი არ ვიცით როდის?

მეორე: არ არის მართალი, თითქოს ეროვნულ-დემოკრატებს დამფუძნებელს კრებაში წინადადება შეეტანოსთ: „სვანეთში ტერორი და ანარქია არის გამეფებული, იქ შესვლა საშიშია და ამიტომ საჭიროა ამ კუთხეში არჩევნები გადაიდოსო“. ეროვნულ-დემოკრატების წინადადება უკვე დაიბეჭდა გაზეთებში და ყველას შეუძლიან იმის გაგება, თუ რა მოითხოვეს ეროვნულ-დემოკრატებმა. მათ მოითხოვეს — გაიგზავნოს ლეჩხუმში დამფუძნებელი კრების კომისია ტერორის, და ანარქიის მიზეზების გამოსარკვევად და არჩევნების წესიერად ჩასატარებლად. აფხაზეთში რომ არჩევნები არ გადადებულიყო, იქაც იგზავნებოდა კომისია, რომელიც არჩევნებს გაუწევდა ხელმძღვანელობას. ლეჩხუმში ასეთს კომისიას ტერორის მიზეზების გამორკვევაც უნდა დაკისრებოდა. სად არის აქ არჩევნების გადადების მოთხოვნა? ასეთი ოინებით პოლიტიკური ჯგუფი, ვფიქრობთ, შორს ვერ წავა.

ა. ახათიანი

სომხური პრესა

„ნორ-აშხატავორში“ მე-150 ნომერში „თანხმობა“-ს სათაურით დაბეჭდილია შემდეგი მეთაური:

„საქართველოს რესპუბ. დამფუძნებელ კრების საგარეო საქმეთა კომისიაში გაირჩა საურთიერთო დამოკიდებულების საკითხი სომხეთთან და საზღვრების სადაო საკითხიც.

რუსული ცარიზმის პოლიტიკამ, რომელიც დამყარებული იყო „გაყავ და იბატონე“-ს პრინციპზე, ისე არია ამიერკავკასიის ცხოვრება რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა თანხმობის ჩამოგდება და საერთო ენის გამოძებნა.

საზღვრების დავას სომხეთსა და საქართველოს შორის დიდი ისტორიული წარსული აქვს. საქართველოს ხელმძღვანელი პარტია ამ საკითხში დაექვემდებარა დიდ ევოლუციას. პირველ ხანაში, როცა იდგა თანამედროვე პროგრესიულ პრინციპზე მოლაპარაკებების საფუძვლად იღებდა რეალურ მოსახლეობის პრინციპს, ქართველი შოვინისტი ნაციონალისტები კი ეპოტინებოდნენ ისტორიულ წარსულის პრინციპს რის გამოც იყო მუდმივი უთანხმოება. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე მთავრობის რწმუნებულმა და სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა წერეთელმა გამოაცხადა, რომ მისი პარტია და სახელმწიფო საფუძვლად იღებენ ისტორიულ პრინციპს და მოითხოვენ ლორეს, ახალქალაქს და თვით ბამბაკსაც. ამ რეგრესმა სოციალიზმიდან ნაციონალიზმისკენ, რომელიც ჩვეულებრივი და ბუნებრივია ქართველ სოციალ-დემოკრატებისთვის ჩაშალა მეგობრული დამოკიდებულობა ორ რესპუბლიკათა შორის. დღეს არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი სიხარული ამ საბედისწერო საკითხის კეთილ დაბოლოებისთვის. იმედია საქართველოს მთავრობა მიიღებს რეალურ ფორმებს და შესძლებს კეთილი ურთიერთობა ჩამოაგდოს საქართველოსა და სომხის მშრომელ ხალხთა წინაშე.

„ნორ-აშხატავორი“, რა თქმა უნდა, სიხარულს გამოსთქვამს, რომ საგარეო კომისიის სოციალისტური ნაწილი, ძველი სენის მსხვერპლად რომ ხდება. მაგრამ ეს სიხარული ნაადრევია. დღეს საქართველოს საზოგადოებრივი აზრია ქვეყნის მართველი და არა ამა თუ იმ კომისიის კაბინეტი. და ეს საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ერთ ნაჭერ მიწას არავის დაუთმობს. „ნორ-აშხატავორი“ რეალური პრინციპის ძალით ითვისებს საქართველოს ტერიტორიას. „ნორ-აშხატავორი“ ქვაიანი და ოსმალეთის სომხეთის შექმნასაც ამ პრინციპის მიხედვით შეუდგება.

მესხეთ-ჯავახეთის ვითარება

არ გასულა სულ რამდენიმე თვე, რაც მესხეთ-ჯავახეთი კვლავ დაუბრუნდა თავის დედა საქართველოს, ჯერაც არ განკურნებულა ამ პროვინციის დასისხლიანებული სხეული, მისი ყურება დღესაც იმყოფება იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომლითაც ეს მდიდარი და მშვენიერი კუთხე დაფლეთილ და გაბრუებულ იქნა.

აი ასეთ მდგომარეობაში უხდება მესხეთ-ჯავახეთს საქართველოსთან სამარადისო კავშირის გასამყარებლად მუშაობა, რის პირველი აქტიც დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნებში გამოიხატება.

დაიწყო კიდეც პარტიათა შორის ბრძოლა, ჩვეულებრივი დემაგოგია, ხალხის თვალთმაქცურად გადაბირება და ათასგვარი დაპირებებით მოტყუება. თქვენ შეხვდებით აქ ჩვეულსა და ნახულ სახეებს, სწორედ იმათ, ვინც გინახავთ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ აქ პროპაგანდისტთა უმრავლესობას სათანადოდ შეგნებული ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს მესხეთ-ჯავახეთში არჩევნების რიგიანად და მწყობრად წარმოებას.

ადგილობრივი სპეციფიური თავისებანი, ცხადია მეტს ტაქტს წინდახედულობასა და სიფაქიზეს მოითხოვს, ვიდრე საქართველოს ცენტრალურ პროვინციებში.

თუ ცენტრში სავალდებულოა სახელმწიფოებრივი სიბრძნით პროპაგანდის ჩატარება, ასჯერ მეტი პასუხისმგები და სავალდებულოა ასეთი სიბრძნე პერიფერიებში. ეს კუთხეები საშინელის ნერვიულობით შესცქერიან ყოველ ახალ საქმეს, ყოველ ახალ ნაბიჯს ჩვენი მთავრობისას და აქაც ისეთი სიმწვავისა და უპასუხისმგებლო მოქმედების გადმოტანა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ცენტრალურ პროვინციებში დიდი ბოროტმოქმედებაა ერისა და სახელმწიფოს წინაშე.

მესხელ-ჯავახელთა ფსიხოლოგია სრულიადაც არ ეგუება იმ უკიდურეს პრინციპებს, რომელიც გაუჩაღებიათ აქ ერთის მხრით ჩვენს სოციალისტებს და მეორეს მხრით ჩვენს შოვინისტებს. ერთნი თუ ხალხისათვის გაუგებარ რაღაც ინტერნაციონალზე ეჩიჩინებიან ხალხს, მეორენი პირდაპირ საკონტრასტო ლოზუნგს ისვრიან: „საქართველო ჯერ ქართველებისთვისო“. არც ერთი და არც მეორე ლოზუნგი ოდნავადაც ვერ ანელებს იმ წყლულებს და ვერ აკმაყოფილებს იმ სულის კვეთებას, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებით ამოძრავებსთ.

ხალხი დაშინებულია, შიშველ ტიტველი, გაუნათლებელი, ათასგვარი სენით და ავადმყოფობით დაუძლურებული, გამუდმებული ომები დაღარიბებული და გაფცქვნილი და ნაცვლად რაიმე კონკრეტიულ ზომებისა, მათ უტაქტო და უადგილო ლოზუნგებით, ურთიერთის უშვერის ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან.

იმ დროს, როცასაც აქ ყველაზე უფრო საჭიროა ცოცხალი საქმე და შემოქმედი ენერგია, ჩვენ ვხედავთ უპასუხისმგებლო პირებისა და უპასუხისმგებლო ჯგუფების მუშაობას. დარბიან სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და შეაქვთ საშინელი განხეთქილების ატმოსფერა. თითქოს საჭირო იყო პარტიათა შორის შეთანხმებული, კონტაქტური მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ სულ წინააღმდეგი მოვლენამ იჩინა თავი. ყოვლის გამხრწნელი დემაგოგია კანონად ქცეულა და ჯერ არჩევნების აქტიური პროცესი არც კი დაწყებულა და ხალხს უკვე თავი მოაბეზრეს ქუჩური ლანძღვა-გინებით. ბილეთ ადგილობრივი პრესა და თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ სახელმწიფოს საერთო ინტერესი უკუგდებულია და ორიოდე ხმის შოვების გულისათვის პრესტიჟი ეკარგება საქართველოს რესპუბლიკას.

სოფლებსა და ქალაქებს კალიასავით მოსდებიან პროპაგანდისტები მხოლოდ იმიტომ რომ სახელი გაუტეხონ ჩვენს მთავრობას, მთელს ქართველ ერს, მის სახელმწიფოს.

ეგრედ წოდებული „ეროვნული“ პარტია თვისი ეროვნული პრობლემის ერთადერთ გამოსახულებას იმაში ანიჭებს ხალხს, რომ წმინდა შოვინისტურ აგიტაციას ეწევა და ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ სიმწვავესა და სიჭრელეს ისეთს ცეცხლს უკიდებს, რომლის შედეგებმა შესაძლოა მოლაპარაკეთა სკამზე დასვას ამ ჯგუფის ხელმძღვანელი პირნი.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნ ვეშაპელის ჯგუფი არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ როგორმე ეს პერიფერია და ცენტრი მუდმივ ანტაგონიზმში იმყოფოს. შეიძლება ეს მას შეუგნებლადაც მოსდიოდეს, მაგრამ მით უარესი პოლიტიკური მოღვაწისათვის. იცის კი მან რა პატრიოტის ბეირაღით შეიმოსება მისი სახელი, როდესაც დათესილი ნაყოფს გამოიღებს? ჩვენ ვფიქრობთ რომ იცის და განგებ სჩადის ამას, რომ როგორმე მოჰკრიფოს ორიოდე ხმა და თვისი თავი კი ისე მაინც არ შეირცხვინოს, რომ დეპუტატის სკამზე არ წამოსკუპდეს. რა ზომებს არ მიმართავს ეს ჯგუფი, რომ ხალხს გზა-კვალი აუბნიოს. საქველმოქმედო საზოგადოება, რომ რაიმე სურსათს გამოგზავნის ადგილობრივ მკვიდრთათვის, სიმინდს, პურს, ნავთსა თუ სხვა რასმეს, ეს ბატონები თან მოჰყვებიან ამ სურსათს და უნამუსოდ ატყუებენ ხალხს, თითქოს ეს მათი პარტიის წყალობა იყოს. ამას გარდა აქ დადის ხმები, რომ მათი საარჩევნო ხარჯები საქველმოქმედო საზოგადოების თანხიდან იფარება და თუ ეს მართალია, რათ დროზე არ განმარტავს ამ ხმებს ეს საზოგადოება და რათ არ დაამშვიდებს აღელვებულ საზოგადოებრივ აზრს? ამაზე შორს ვფიქრობთ ვეღარ წავა უტიფრობა და ხალხის ინტერესების ფეხქვეშ გათელვა.

ამაზე ნაკლებ სამარცხვინო არ არის ის ფაქტიც, რომ ეს ეროვნული პარტია ხალხს ატყუებს, რომ ჩვენ ვართ ეროვნულ-დემოკრატებიო და ვინც იყო ყველა ჩვენგან გადმოვიდაო. ცენტრთან მოშორებამ და ფაქტების უცოდინარობამ ხალხი შეიყვანა ამ შეცდომაში და დაუჯერეს მათ, რასაც ის მოჰყვა, რომ ყველა არა სოციალისტური ელემენტები თითქოს მათ გარშემო იყო შემოკრებილი, მაგრამ საკმარისი იყო ნამდვილ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მანდატის ჩვენება ამ პირთათვის, რომ ისინი დარწმუნებულიყვნენ, თუ როგორი ავანტიურაში ჩათრევას უპირებდა მათ ბ-ნი ვეშაპელი.

ეხლა ხალხი ერკვევა და საჭიროა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ბელადების ჩამოსვლა, ხალხთან გაცნობა, რომ ამხელა რიხით აშენებული საქმე ერთის ხელის მოქნევით დაანგრიოს ბ-ნ ვეშაპელს. ამის ჩადენა სავალდებულოა ჩვენი პარტიისათვის, რითაც ის დიდს სამსახურს გაუწევს ქართველ ერს. ხალხიც მოითხოვს ამას.

ეხლა კი ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნებს მეტის პატიოსნებით მოპყრობა უნდა, ვიდრე ამას ჩადიან აქ მომქმედი პარტიები.

მოაგარაკე.

ბრ. ვეშაპელის ჯგუფი და მესხეთ-ჯავახეთი.

ახალციხე-ახალქალაქის მაზრები დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებში ჩაებნენ. საქართველოს სხვა კუთხეებში ჩვეული დემაგოგია აქაც აუცილებელ საჭიროებად მიუჩნევიათ, და იმ ხალხს, რომელსაც მეტად სათუთი მოპყრობა უნდა, მოტყუილების ქამანდებით ევლინებიან. არ იფიქროთ ასე ექცეოდნენ მხოლოდ უბრალო სოფლელს; გლეხებს და მიწის მუშებს; არა, აქაურ ცნობილ ინტელიგენტებსაც ასევე ეს ფიალა... ამ მხრივ პირველობა ეროვნულ პარტიას ეკუთვნის (სოც. დემოკრატებს ხალხი სიტყვით და საქმით გაურბის, რადგან აქაურ აჯანყების მიზეზად მათ წარმომადგენლებს ასახელებენ). ეროვნული პარტიის პარტიტველა წარმომადგენლნი ყოველგვარ უტაქტო, შეუსაბამო საქციელით აქაურ ხალხს აძულებენ და აზიზღებენ ყოველგვარ სპეტაკ პარტიულ აზროვნებებს და უკმაყოფილებას სთესვენ მთლიანი საქართველოს წინააღმდეგ. თვით მათი სიის (საქალაქო არჩევნებისათვის შედგენილი) რიცხვითა და ღირსებით თვალსაჩინო ნაწილი აღშფოთებულია მათი მოქმედებითა და საზიზღრობით ერთი ამბობს: არა სოციალისტი ვარ, მხოლოდ უპარტიო, ამისათვის დავთანხმდი სიაში შეტანაზე; მაგრამ აქაურ გაზით „მესხეთ ჯავახეთში“ გამოქვეყნებულ საარჩევნო პროგრამაში, რომელსაც უაღრესი შოვინისტური ხასიათი აქვს და ხალხში მისი გავრცელება სამოქალაქო ომს გამოიწვევს, მაიძულა სიაში ყოფნაზე უარი მეთქვა და მათთან ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტაო. მეორეს მათთან მუშაობა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია. მესამე მწუხარებით აღნიშნავს თავის შეცდომას, მათთან მისვლის შესახებ და გადაჭრით აღიარებს: სიაში ისეთი პირები მოუთავსებიათ, რომელთანაც გვერდზე გავლაც შეუძლებელია, არამც თუ ერთ სკამზე ჯდომა და ქალაქის საბჭოში მუშაობა; სია გამოქვეყნდა თუ არა, მე მაშინათვე წერილობითი განცხადება შევიტანე ქალაქის საბჭოში და კატეგორიულად სიიდან ამოშლა მოვითხოვეო. მეოთხე მტკიცედ იმეორებს: მომატყუეს; მომიტანეს ქაღალდი, რომელსაც თავში ეწერა „სია“ და შემდეგ კი ჩამოთვლილი იყო გვარები და მითხრეს, სხდომა არის და უნდა დაესწროთო, მოაწერეთ ხელი, რომ შეგატყობინოთო; მოვაწერე. შემდეგ კი სიტყვა „სია“-სა და ხელმოწერათა შორის ჩაუმატებიათ — „იმ პირთა, ვინც თანახმაა ეროვნულ პარტიის სიით კენჭი იყაროსო“.. და წავიკითხე თუ არა, მაშინათვე ჩემი თავი ქალაქის საბჭოს სიიდან ამოვაშლევინეო. მეხუთე, მეექვსე, მეათე და სხვა, სიაში შეტანილნი, თუ მის გარეშე დარჩენილნი, ერთხმად აღიარებენ: ჩვენ ეროვნულ-დემოკრატები ვიყავით და ვართ კიდეც; ეგენი არასოციალისტების ბლოკის სახელით გველაპარაკებოდნენ და მხოლოდ ამისათვის მივედით მათთანაო. საქველმოქმედო საზოგადოების სახელით ვაჭრობა ხომ მათ პირდაპირ მოვალეობათ გადაქცეულა; თითქოს ეგენი რომ არ ყოფილიყვნენ, ყველა ჯურის ქართველთა და დაწესებულებათა ქონებით შედგენილი საქ. საზოგ. თანხა, გადატაკებულ ქართველთ არ უნდა მოეხმარებოდა და მშიერი უნდა ამოწყვეტილიყვნენო...

აი, ასეთი უმსგავსო საქციელით აპირებენ ფონს გასვლას; ამ ნაირად აბრუებენ ისედაც დაღლილ დაქანცულსა და ათასგვარი ჭირნახულ მცხოვრებთ... მაგრამ მათი გავლენა მცირე ხნის ბავშვს ეჩვენება; და მათი ადგილობრივ „ლიდერთა“ გარდა ხელში არარაფერი შერჩებათ, საზოგადოების შეგნებულმა ელემენტმა მათ უკვე ზურგი შეაქცია... ეს ნაბიჯი კი სხვებისათვისაც მისაბაძია. ამას ქართველი ერისა და კერძოთ მესხეთ ჯავახეთის საარსებო ინტერესი მოითხოვს.

მიხ. ხერხეულიძე.

ოსების თავდასხმა.

(გენერალურ შტაბის ცნობა).

26 მკათათვეს ოსთა შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ მამისონის უღელტეხილზე სანაპირო მოდარაჯე საყარაულოებს.

ჩვენი მხრით მოკლულია სამი, მძიმედ დაჭრილია ორი.

მოწინააღმდეგეთა ზარალს ვიკვლევთ, ტყვედ წამოყვანილი ოსები გვიჩვენებენ, რომ ამ მიმართულებით ადგილობრივ ოსთაგან შემდგარი პოლკი მოქმედობს.

სამხრეთის ოსები ერთსულოვნად მხარს უჭერენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მთავრობის ცნობები

17 მკათათვის სხდომა.

კრედიტის გახსნა

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 42.100 მანეთი სოხუმის და ქუთაისის საგანგებო სასამართლოების შესანახად 1919 წლის აპრილსა და მაისის განმავლობაში.

25.000 მან. კრედიტი საგზაო ხარჯების დასაფარავად.

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 25.000 მ. საგზაო ხარჯების დასაფარავად.

15.525 მან. კრედიტი მოხელეთათვის დასახმარებლად.

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან თხუთმეტი ათას ხუთას ოცდახუთ (15525) მან. მოხელეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ სხვა და სხვა შემთხვევებში.

კანონ-პროექტი 1915 წ. ორი თებერვლის კანონის გაუქმებისა.

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი 1915 წლ. თებერვლის ორის კანონის გაუქმებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ზავადოვსკის და დანევსკის დანიშვნა.

ბრალმდებელი ზავადოვსკი და მისი ამხანაგი დანევსკის დამტკიცებულ იქნან სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრებათ ამა წლის 8 თებერვლიდან.

ნ. კ. მანდარიას სარჩელის მოსპობა.

სოხუმის ოლქის სასამართლოს ყოფილ მოსამართლე, უკვე გარდაცვალებულ, ნ. კ. მანდარიას წინააღმდეგ აღძრული სამოქალაქო სარჩელი მოსპობილ იქნას.

გზათა დეპარტამენტის დებულება.

გზათა დეპარტამენტის დებულება მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

6.000 მან კრედიტი წყალთა სამმართველოში 4 პრაქტიკანტის მოსაწვევად.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ათ-მილიონიან ფონდიდან ექვსი ათასი (6,000) მანეთი მიმდინარე ზაფხულში კულტურულ ტექნიკური სასწავლებლებიდან 4 პრაქტიკანტის მოსაწვევად წყალთა სამართველოში.

მცენარეების მავნებლებთა მებრძოლ ბიუროს მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის გადაცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მცენარეების მავნებლებთან მებრძოლი ბიურო თავისი კრედიტებით გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

მორჯულის ხეობის გლეხებისათვის ზარალის ანაზღაურება.

გადაიდოს მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფონდიდან სამას ოთხმოცდა რვა ათას ას ორმოცდა ათი (388,50) მანეთი შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გადასაცემად, რათა ამ უკანასკნელმა ჯორჯომის ხეობის გლეხებს აუნაზღაუროს ზარალი მიყენებული ოსმალოთაგან ხარ-კამეჩის ჩამორთმევით.

ფლოტილის დასათხოვ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდო.

1. გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში სამხედრო ფრონტიდან ოცდა სამი ათას სამი (28.003) მანეთი 61 კაპ. ფლოტილიის დასათხოვ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოს გასაცემად და ლიკვიდაციის დღემდე კუთვნილ დღიური ფულით და ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.
2. დათხოვნილ მოსამსახურეთ სალიკვიდაციო ჯილდო მიეცეთ შრომის სამინისტროს მიერ დაწესებულ სალიკვიდაციო ნორმების მიხედვით.

მეორე დივიზიასთან არსებულ ლაზარეთისთვის კრედიტის გახსნა.

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო ფრონტიდან შვიდი ათასი შვიდას ოცდა თხუთმეტი (7735) მანეთი მეორე დივიზიასთან არსებულ ლაზარეთისათვის საჭირო ნივთების შესაძენად.

საქართვ. მუზეუმის დებულება და შტატი

1. საქართველოს მუზეუმის დებულების და შტატების პროექტი მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.
2. სასურველად იქნეს ცნობილი საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ შენობაში მოთავსება, რომელიც განთავისუფლდება სამინისტროების მიერ.

მთავარ მიმწოდებელ სამართველოს მთავარი მართველის დანიშვნა.

მთავარ მიმწოდებელ სამართველოს მართველად დაინიშნოს ი. გ. ქარცივაძე.

ქართველთა მობილიზაცია პეტროვსკში

პეტროვსკის მოხალისეთა რაზმის უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომ არა უგვიანეს მკათათვის 9-სა ყველა ქართველი 1906—1920 წლამდე გასაწვევი სამხედრო უფროსთან უნდა გამოცხადდეს.

მობილიზაცია არ ეხება იმ ქართველთ, რომელნიც მოხალისეთა სამფლობელოში გადმოსახლებულან არა უგვიანეს 1914 წლისა და წერილობით განაცხადებენ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრიობას არა სცნობენ. ამ კატეგორიის ქართველნი უნდა გამოცხადდნენ რაზმის სამმართველოში რეგისტრაციისათვის.

ქრონიკა

დღეს ოთხშაბათს, საღამოს რვა საათზე რედაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის საგანგებო სხდომა. განსახილველია ფრიად საჩქარო და მნიშვნელოვანი საკითხი.

◆ **მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება** დროებით მიენდო საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრს ევგენი გეგეჭკორს.

◆ **მიწად-მოქმედების შრომისა და გზათა მინისტრი ნოე ხომერიკი** 27 მკათათვიდან დასასვენებლად განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მისი მოვალეობის ასრულება დაევალა გზათა უწყებაში გზათა დეპარტამენტის დირექტორს ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძეს, შრომის და მთავარ მიმწოდებელ სამმართველოში, შრომის მინისტრის ამხანაგს—გიორგი ერაძეს ხოლო მიწად-მოქმედების უწყებაში მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგს პეტრე გელეიშვილს.

◆ **ალექსანდრე კორინთელი** მიწათმოქმედების მინისტრის საბჭოს წევრად დაინიშნა.

◆ **გიორგი საგანელის ლექსები** რედაქციამ მიიღო გიორგი საგანელის ლექსები. წიგნი სუფთად და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი. წიგნი ღირს 20 მანეთი.

იუსტიციის სამინისტროში.

◆ **დროებით სასამართ. დებულების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.** თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა კანონ-პროექტი წარუდგინა იუსტიციის სამინისტროსა და დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიას, დროებით სასამართლოს დებულების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. იუსტიციის მინისტრი ამ შესწორებებს არ ეთანხმება.

◆ **აფხაზეთის კომისარიატთან იურიდიულ განყოფილების დაწესების შესახებ.** აფხაზეთის კომისარიატის მიერ გამოცემულ კანონის და თანახმათ, 1) კომისარიატთან უნდა დაარსდეს იურიდიული კომისია, ერთი უფროსისა მდივნისა და საქმის მწარმოებლის შემადგენლობით. აგრეთვე 2) აფხაზეთში შემოღებულ უნდა იქმნას არჩეულ მომრიგებელ მოსამართ-

თლეთა ინსტიტუტი, 3) უნდა გაუქმდეს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომლის ფუნქციებიც დროებით სოხუმის საოლქო სასამართლოს დაევალოს, 4) უნდა მიეცეს ხსენებულ საქმის მოსაწყობათ იუსტიციის კომისარს ამა წლის ბოლომდე 29,4000 მან.

◆ **სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღების შესახებ.** დღეს დილის თერთმეტ საათზე იუსტიციის სამინისტროში შედგება სხდომა, სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღების შესახებ.

სხდომაზე დაესწრებიან სათანადო უწყებათა წარმომადგენლნი; აგრეთვე სხდომაზე მიწვეულნი არიან პროფესორები. ექ. თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, და შენაშვილი.

კოოპერატიული ცხოვრება

◆ **საქართველოს კოოპერატიული ბანკის** წესდება უკვე წარედგინა ფინანსთა მინისტრს, რომელმაც დამფუძნებელთ წესდების ამ დღეებში დამტკიცება აღუთქვა.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის** არა სავაჭრო განყოფილებასთან დაარსდა საბჭო, რომელიც გამოიმუშავებს გეგმას კავშირის კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობისას ხელოვნების და სხვა დარგებში. საბჭომ პირველი სხდომა 17 მკათათვეს გამართა.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირმა** დრამატიულ სტუდიას და ქართ. სამუსიკო საზოგადოებას ავანსი მისცა.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია** შეუდგა მუშაობას. პირველი წარმოდგენა დაიდგმება სექტემბერში არტისტიულ საზოგადოებაში. სტუდიის რეჟისორებად მოწვეულ არიან ა. ჯაბადარი, ქ. შათირიშვილი და ქორიძე.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭომ** საჭიროთ აღიარა თავისი პერიოდიული ორგანოს გამოცემა რუსულ ენაზე. საბჭოს შემდეგი ცნობა ოც მკათათვეს მოხდება.

◆ საქართვ. კოოპერატიული ბანკის აქციები შეიძინეს ზოგიერთმა სარაიონო კავშირებმა და ცალკე კოოპერატივებმაც.

◆ სამხრეთ რუსეთის კოოპერატივთა კავშირის („დოკატის“) გამგეობის წევრი ავტონომოვი ჩამოვიდა თბილისში. მას ჩამოაქვს ბათომში მთელი გემი რკინეულობისა და სხვ. ეს საქონელი განაწილდება ჩვენში ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირის მიერ. ბა[illegible] უკვე გაიგზავნა სამაგიეროთ ორი ვაგონი ბრინჯი და ერთი ვაგონი ქიშმიში.

◆ ინგლისელ აქციონერულმა საზოგადოებამ წინადადება მისცა ამიერ კავკ. კოოპ. კავშირს, რომ ის მიაწოდებს კავშირს საკომისიო პირობებით 250 მილიონის საქონელს, რის მაგიერ თხოულობენ ნედლ მასალას. ამ ოპერაციის საბოლოოთ მოსაწყობათ საჭირო იქნება კავშირის წარმომადგენლის ლონდონში გაგზავნა.

◆ **აზერბაიჯანის კოოპერატიული ყრილობა** დანიშნულია 26 ივლისს ქ. ბაქოში.

◆ **სომხეთის კოოპერატიული ყრილობა.** ამ თვის პირველ რიცხვებში მოხდა სომხეთის კოოპერატიული ყრილობა, რომელზედაც სხვათა შორის გადასწყვიტეს ამიერ-კავკასიის კოოპ. ყრილობათა საბჭოში მონაწილეობის მიღება.

◆ **მოსკოვის სახალხო ბანკის** თბილისის განყოფილებამ გაუხსნა კრედიტი: ოზურგეთის კავშირს—6,000,000 მან. საჯევახოს—300,000 მან. პარკის ოპერაციებისათვის, გომის კავშირს—1.000.000 მან. გორის კავშირს—1.000.000 მან. პურის ოპერაციებისათვის.

◆ მუხრანის კოოპერატივის საზოგადო კრებამ გადასდო 1000 მანეთი კოოპერატიულ სკოლისათვის და შეიძინა სამი აქცია საქართველოს კოოპერატიული ბანკისა.

სხ. და სხ. ამბები.

◆ **საზღვარ გარეთ გასავალ პასპორტების შესახებ.** საზღვარ-გარეთ გასავალი პასპორტების მიცემა საქართველოს მოქალაქეთადმი თანახმად აქამდის მომქმედ საპასპორტო დებულებისა, ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ამავე საპასპორტო დებულების ძალით, გარეშე საქმეთა მინისტრს უფლება აქვს მისცეს საზღვარ გარეთ გასავალი პასპორტები. ელჩებს, დიპლომატიურ აგენტებს, კურიერებს, კონსულებს და სხვებს, და მისი საკუთარი ინიციატივით, განსაკუთრებით შემთხვევებში, როდესაც ამას მოითხოვენ სახელმწიფოს ინტერესები შეუზღუდავად.

◆ **ერობის სტატისტიკოსთა ყრილობა.** 28 ივლისს თბილისის სამაზრო ერობის ბინაზე გაიხსნა რესპუბლიკის ერობათა სტატისტიკოსების პირველი ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ცენტრალურ ერობის გამგეობის წევრი ისიდორე ივ. სტურუა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით გახსნა ყრილობა. ჯერჯერობით მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან და თბილისის ერობის სტატისტიკურ განყოფილების წევრის მოხსენება.

◆ **ქიაზიმ-ბეის შეპყრობა.** ამ დღეებში თბილისში ინგლისელთა სარდლობამ დააპატიმრა ქალ. შუშის კომენდანტათ ნამყოფი ქიაზიმ-ბეი. რომელიც ამ ბოლო დროს ოსმალეთის კომისრათ იყო ამიერ კავკასიაში.

◆ **მოხალისეთა სარდლობა და სომეხი ლტოლვილები.** მოხალისეთა სარდლობამ ნება მისცა სამშობლოში მიმავალ სომეხ ლტოლვილებს წაიღონ თან რამოდენიმე ფუთი პურის ფქვილი. თბილისში გავრცელდა ხმები, ვითომც საქართველოს მთავრობას რეკვიზიციის წესით ჩამოერთმიოს ლტოლვილებისათვის ფქვილი. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი უარჰყოფს ამ ხმებს და აცხადებს რომ არავითარი ასეთი რეკვიზიციას ადგილი არ ჰქონია.

◆ **პურის ნაკლებობა რაჭაში.** რაჭიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ რადგანაც მოხალისეთა სარდლობა მაჩისონის ულტიმატუმით აღარ უშვებენ პურს ამიტომ რაჭაში პურის ნაკლებობაა.

◆ **პროფესორ ხარაზოვის მიწვევა.** თბილისის პოლიტეხნიკუმის, თეორეტიულ მექანიკის კათედრით ექსტრა-ორდინალურ პროფესორად, ფილოსოფიის დოქტორი მ. ხარაზოვი მიიწვიეს.

ბოროტ-მოქმედებანი.

◆ **მძარცველთა ჯგუფის შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით შეიპყრეს მძარცველთა ჯგუფი რომელმაც 4 ივლისს წაართვეს კორონინს, (ამაღლების ქ. № 4) 1 მილიონის ფული და სხ. და სხ. ნივთები.

◆ **კოოპერატივ „დახმარების“ გატეხის განზრახვა.** 28 ივლისს ღამით მილიციელებმა დაიჭირეს ბოროტ-განზრახველები, რომელნიც ლამობდნენ კოოპერატივ „დახმარების“ გატეხას. დაიჭირეს აგრეთვე იქ მდგომი მილიციელი.

სამხატვრო ქრონიკა

◆ ვასილ ბარნოვმა დასწერა ორი მოთხრობა „ოლდგომის ცოდვა“ და „ქუდბედიანი“. ამ ჟამად იგი მუშაობს დიდ ისტორიულ რომანზე.

◆ სამხატვრო სალიტერატურო კრებული „ცხრამუხა“ ენკენისთვის პირველისთვის განზრახულია სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „ცხრამუხა.“-ს 2 გამოცემა.

◆ თაგუნას წიგნი 1-ლი გასასყიდათ გამოვიდა თაგუნას იუმორისტული პირველი კრებული.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში დ. **სარბიელის** ფურცლებში შემდეგი საწყენარო კორექტურული შეცდომებია:

სწერია: „საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში „ეპოქა იწყებოდეს სრულებით ახალი ეპოქი“; უნდა ეწეროს: უნდა იწყებოდეს სრულებით ახალი **პერიოდი**.

სწერია: „ხალხი, რომელსაც პარტია სწამს მხოლოდ თავის პარტიაში“; უნდა ეწეროს: **პატრია** სწამს მხოლოდ თავის **პატრიაში**.“

სწერია: „ასეთი ექიმი, მავნებელი კი არ იქნება, არამედ მხოლოდ ექიმბაში, იქვე, როგორც... უნდა ეწეროს: ასეთი ექიმი **მკურნალი** კი არ იქნება, არამედ მხოლოდ ექიმბაში, იხევე როგორც.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ახალციხე.

— 1 სექტემბრიდან როგორც ახალციხის მაზრაში, ისე ჯავახეთში გაიხსნება სკოლ. ბი. ბევრ სოფლებში ხალხი სამზადისს უკვე შეუდგნენ. განათლების სამინისტროს რწმუნებულმა მელიქიძემ დაასრულა ახალციხის მაზრაში სკოლების დათვალიერება და მიდის ჯავახეთში.

— ამ დღეებში მთავრობა აგზავნის ახალციხის მაზრისთვის ხუთ ვაგონ სიმინდს, რომელიც შეღავათიან ფასებში განაწილდება მცხოვრებთ.

— მთავარმა კომიტეტმა თბილისიდან გამოგზავნა დარბეულ მცხოვრებთა დასახმარებლათ სხვა და სხვა ნივთები და აგრეთვე ბავშვთა თავშესაფარისათვის საჭნები. ყველაფერი ეს გადაეცა გლეხთა საბჭოს გასანაწილებლათ.

— მაზრაში დამატებითი არჩევნებისათვის ალწერა დამთავრდა, სიები გამოქვეყნდა, არჩევნები დაიწყება 10 აგვისტოდან.

— ახალციხის მაზრის კომისრათ დაინიშნა გოგორელი, რომელიც უკვე შეუდგა მაზრაში ადმინისტრაციის მოწყობას.

— აბასთუმანში მოაგარაკეთა რიცხვი იზრდება, აბანო მოქმედებს, იშოვნება სანოვაგეც.

— ვინაიდან აწყურიდან გვარდია გამოიწვია შტაბმა, მცხოვრებლები შუამდგომლობენ ისევ დააბრუნონ გვარდია სოფელში, რადგანაც მისი წამოსვლის შემდეგ იყო ქურდობა-ყაჩაღობის შემთხვევები.

ს. წაფარეული.

— მკათათვის 20-ს ს. წაფარეულში ფრონტის დღის სადღესასწაულოდ გაიმართა საღამო-სეირნობა სეირნობის წმინდა შემოსავალი თელავში ფრონტის დღისთვის არსებულ კომიტეტს გაუგზავნა.

ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ერთა მემორანდუმის ტექსტი

ეს მემორანდუმი მიერთვა საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს:

„აზერბაიჯანის, ლიტვის, ესტონეთის, საქართველოს ჩრდილო-კავკასიის, ბელორუსიის და უკრაინის წარმომადგენელნი გვეცანით რა იმ მიწერ მოწერას კოლჩაკსა და მოკავშირეთა საბჭოს შორის. რომლის მიზანიცაა დახმარების თუ არ დახმარების საკითხის გამორკვევა, ჩვენი მთავრობის სახელით გიცხადებთ: ხსენებული რესპუბლიკები დაარსდნენ და შეიქმნენ მის ხალხის თავისუფალი ნებით. ჩვენ სახელმწიფოთა ურთიერთობა სწარმოებს და იწარმოებს დამფუძნებელ კრების თანახმად, რომელნიც არჩეულია საერთო ხმის მიცემის პრინციპის თანახმად. ამისთვის რუსეთის ორგანოთა, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, გადაწყვეტილებანი ჩვენთვის მიუღებელია და ჩვენ სახელმწიფოთათვის: აზერბაიჯანისა, საქართველოსა, ლიტვისა, ჩრდილო-კავკასიისა ბელორუსიისა და უკრაინისათვის სავალდებულო არ არის. ურთიერთ შორის დამოკიდებულება ამ სახელმწიფოთა და რუსეთს შორის დამყარებული უნდა იყოს თანასწორობაზე და ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობაზე. ამასთანავე დასახელებული რესპუბლიკები კვლავ ვთხოვთ საზავო კონფერენციას დაუყონებლივ იცნას მათი დამოუკიდებლობანი“.

საუბარი გენ. ბარათოვთან

მკათათვის 26-ს ბათომის გაზეთ „ნაშა კრაი“-ს თანამშრომელი ესაუბრა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის წარმომადგენელს ამიერ-კავკასიაში გენ ბარათოვს. ჩემი მისიის უმთავრესი მიზანია სთქვა გენერალმა, ჩაშალო საქართველოსა და მოხალისეთა ლაშქრის შორის ხელოვნურად შექმნილი საომარი მდგომარეობა და დავამყარო მშვიდობიანი ურთიერთობა.

— საზოგადოდ ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებისადმი მოხალისეთა ჯარის განწყობილება მეგობრულია.

— ამიერ-კავკასიის მომავალი პოლიტიკური კონიუნქტურა დამოკიდებულია პარიზის კონფერენციაზე და მოსკოვის დამფუძნებელ კრებაზე.

— ბათომში შედგენილი ოფიცრობრივ კორპუსის შესახებ გენ. ბარათოვმა განაცხადა, რომ ყველაფერი იმის, რაც აქ ხდებოდა იქნება ლიკვიდაცია.

— როგორც კი გენ. ნათიშვილის საქმე გაიგო მოხალისეთა ჯარის შტაბმა, მაშინვე გამოვიდა განკარგულება გენ. ნათიშვილის გადაყენებაზე.

დამფუძნებელი კრება

27 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ოლღა სოლომონაშვილის მოხსენებით მიღებულ იქმნა საბოლოო ტექსტები წარსულ სხდომაზედ მიღებულ კანონებისა.

დეკრეტები

საფუთო გადასახადი ადგილობრივ თვითმართ. სასარგებლოდ.

ივანე ქავჟარიძე მოხსენებს კრებას დეკრეტს ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოთ დაწესებულ საფუთო გადასახადის შესახებ მოქმედ კანონდებულებათა შეცვლის და შევსების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შექმნილ საერთაშორისო პირობების გამო ჩვენი ქალაქის და ერობების თვითმართველობანი ფინანსიური მხრივ მეტის მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ამის გამო ვერ ასრულებენ პირდაპირ დანიშნულებას.

დეკრეტის ძალით ქალაქის თვითმართველობას ნება ეძლევათ შემოიღონ ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოდ საფუთო გადასახადი რკინის გზით ან ზღვით ქალაქში შემოტანილ და გატანილ ტვირთზედ, საფუთო გადასახადის შემოსავალი, როგორც ქალაქის, ისე საერობო თვითმართველობამ უნდა სავსებით მოახმაროს მხოლოდ გზების და ხიდების შეკეთებას და გაყვანა—გაშენებას.

იდო შენგელაია (ს. რ.) **წინააღმდეგია** წარმოდგენილ კანონპროექტის.

დ. ონიაშვილი: აცხადებს, რომ ს. დ. ფრაქცია მომხრეა დეკრეტისა. სწორედ ის არანორმალური მდგომარეობა ერობებისა და ერობის თვითმართველობათა გვაიძულებს ჩვენ ეს გადასახადი შემოვიღოთ.

ორატორი ამტკიცებს, რომ საფუთო გადასახადები არსებობდენ ძველი წესწყობილების დროსაც; ამ საშუალებას მიმართავდენ აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებიც.

დღევანდელი პირობებში ამ დეკრეტის მიღება არავითარ საშინელებას არ წარმოადგენს და ის მიღებულ უნდა იქნეს. შემოსავალი გზების შეკეთებას უნდა მოხმარდეს.

დეკრეტი მუხლობრივ იქმნა განხილული და მიღებული.

პედაგოგიური ინსტიტუტი.

ა. ირემაშვილი მოახსენებს კრებას დეკრეტს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის გაუქმების და სახელმწიფო უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

წარმოდგენილი დეკრეტი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენ არ გვყავს სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები არც დაწყებითის და არც საშუალო სასწავლებლებისათვის.

საოსტატო ინსტიტუტებში, ახალგაზრდობა ცოტა მოდიოდა, რადგანაც საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი უნივერსიტეტში შედიოდნენ, ხოლო ეს ინსტიტუტი ამზადებდა ახალგაზრდობას მხოლოდ პირველდაწყებით სასწავლებლებისათვის.

ინსტიტუტის უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთება დიდს ხარჯებს გამოიწვევდა და მოუხერხებელიც იყო, ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერი იქნება, რომ იგი დაუქვემდებარდეს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ინსტიტუტებში ორი საფეხურია: თითო ორ-ორ წლიანი, პირველ საფეხურზედ მომზადდებიან უმაღლეს—დაწყებით სკოლების მასწავლებლები.

მეორე საფეხური, კი მოამზადებს მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის.

პირველ საფეხურზედ მიიღებიან არა საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი შესაფერი გამოცდის შემდეგ. მეორეზედ კი სრულ უფლებიანი სტუდენტები. ინსტიტუტში იქნება ორი ფაკულტეტი—სიბრძნის მეტყველების და ფიზიკა მათემატიკის.

დეკრეტი მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქმნა.

290,089 მანეთი პარტახტიან ტიფთან საბრძოლველად.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი სახელმწიფო ხაზინიდან 290,089 მ. და 25 კაპ. გადადების შესახებ რკინის გზაზედ პარტახტიან ტიფთან ბრძოლის გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.

სვ. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭიროებისათვის 37,600 მ. გადადების შესახებ.

ოლღა სოლომონაშვილის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი თბილისის სატეხნიკო სასწავლებლის, საშუალო საპოლიტეხნიკო სასწავლებლად გადაკეთებისა.

ა. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი საქართველოს დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან სტამბის დაარსების შესახებ.

ბინებზედ და სხვა სადგომებზედ უმაღლესი ფასების განსაზღვრა.

ჭიქაძე მოახსენებს კრებას დეკრეტს, 1919 წლის აგვისტოს 5-ს დადგენილების მოქმედების განგრძობის ბინებზედ და სხვა სადგომებზედ უმაღლესი ფასების განსაზღვრის შესახებ.

ალ. ახათიანის სიტყვა.

ალ. ახათიანი (ერ.-დემ.) ქალაქის ბინების ფასების განსაზღვრის დეკრეტებ იმ სახით, როგორც ეს 7 აგვისტოს კანონით არის ნაგულისხმევი, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ჩვენ საჭიროდ ვთვლით, რომ სასწრაფოდ შემუშავდეს ისეთი კანონი, რომელიც აღადგენს ბინის დამქირავებელთა და სახლის მეპატრონეთა შორის ნორმალურ ურთიერთობას. დღევანდელი პირობები კი აუტანელია ქალაქის ქონების მესაკუთრეთათვის. ბინის ქირები თითქმის ძველია დატოვებული, ან მცირედ მომატებული. ამავე დროს სახლის მოვლა-პატრონობისა და შენახვის ხარჯები ერთი ასად არის გაზრდილი. თქვენ იცით მეეზოვეთა და სხვა დარაჯთა დაქირავების საქმე ამჟამად როგორ პირობებშია. სახლების ჩვეულებრივი და აუცილებელი რემონტი შეუძლებელი ხდება. სახლის შემოსავალი ვერ ჰფარავს ამ ზღაპრულად გაზრდილ ხარჯებს. ამას დაუმატეთ აურიცხელი გადასახადები რომელიც სახლების მეპატრონეთ აწევთ. არავისთვის საიდუმლოება აღარ არის, რომ მხოლოდ სახლების მცირე ნაწილი თუ ჰფარავს ხარჯებს. დიდი ნაწილი კი ზარალს აძლევს თავიანთ პატრონთ. უფრო სამართლიანი ბინის დამქირავებელნი შედიან სახლის მეპატრონეთა მდგომარეობაში და თავის ნებით უმატებენ ბინის ქირას. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ რა უფლება გვაქვს დავტოვოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქალაქის დიდი ქონება, კაპიტალი არამც თუ შემოსავალს არ აძლევს მეპატრონეთ, არამედ ზარალსაც კი აჩვენებს. აქ მარტო მეპატრონენი არ ზარალდება, არამედ ქალაქი და სახელმწიფოც. მოუვლელობისა და შეუკეთებლობის გამო ქალაქის შენობები ფუჭდება, იღუპება. ეს ეროვნული ქონების დაღუპვაა. ასეთი პოლიტიკა მიუღებელია ჩვენი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

დ. ონიაშვილი (ს.-დ.) იცავს დეკრეტს.

დეკრეტი მიღებულ იქმნა.

(დასასრული ხვალ).

დეპეშები

(საქ. ტელეგ. სააგენტო)

ივლისის 29-ს

ფრანგული პრესა

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ პარასკევს მოიწონა პასუხი, რომელიც უნდა გასცენ გერმანელთა 2 ნოტას, გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების შესახებ პირველი ნოტის პასუხში განმარტებულია თუ რა საშუალებით უნდა მოხდეს პოლონეთისთვის დათმობილ ოლქების ევაკუაცია. მეორე ნოტის პასუხი საზღვრავს იმ საერთაშორისო კომისიის როლს, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ზემო-სილეზიაში პლებისციტის მოხდენას. შემდეგ საბჭომ განიხილა ბულგარეთის ხელშეკრულება, რომელიც თითქმის უკვე მზადაა. მოწონებულ იქმნა ბულგარეთის ჯარის, საზღვაო ძალების და შეიარაღების რაოდენობის და აგრეთვე მოკავშირეთა სხვა და სხვა ქვეყნებში დაკავებულ ბულგარელ ტყვეების სამშობლოში დაბრუნების პირობები. სამხედრო სარდლობას დაევალა რწმუნებულნი დანიშნოს სმირნაში მომხდარ ამბების გამოსარკვევად. შემდეგ პოლონელებს და ჩეხო-სლოვაკებს დამატებითი 8 დღის ვადა მისცეს ტეშენის საკითხის გადასაწყვეტად.

ვილსონი რუსეთის შინაურ საქმეებზე.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: ვილსონმა სენატს აუწყა, რომ ამერიკის სამხედრო ექსპედიცია ციმბირში ....(გამოტოვებულია)... მცხოვრებთათვის სურსათისა და ტანისამოსის მიმწვდენი ....(გამოტოვებულია).. ჯერ კიდევ დარჩება ციმბირში ვიდრე ეს საჭირო იქნება მოძრაობისთვის. პრეზიდენტი დაასკვნის, ლაპარაკიც კი შეუძლებელია იმაზე ვითომ ამით რუსეთის ძალა უფლება შეილახება.

რუმინელ-მუნგრეთის ბრძოლა

ბუქარესტიდან 24 ივლისის თარიღით იუწყებიან, რომ რუმინელებს ქვეითი დივიზია და ცხენოსანთა რამდენიმე რაზმი ჰყავთ. ივლისის 20 და 21 ივლ. რუმინელთა მოწინავე რაზმები იძულებული გახდნენ უკან დაიხიათ. უნგრელები მდ. ტისაზე რამდენიმე ალაგას გადავიდნენ სოლოკოცსა და მოროსას შუა. ტისას ჩრდილოეთით მუნგრელების იერიშები მოიგერიეს. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალით უკან დაიხია. ივლისის 22-ს [illegible] ძალების მოსვლის შემდეგ რუმინელებმა ხოდმეზო ვასარჰელი დაიბრუნეს. მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელ ცნობებით, ბელაკუნის ჯარი დამარცხდა, რუმინელ ცნობით მადიარებმა 4000 მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე და მდინარის იქით დაიხიეს.

გაფიცვის დასრულება ლონდონში.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ მაღაროს მუშების გაფიცვა თითქმის დასრულდა. ხელახლად მოხდა თათბირი მთავრობასა და მაღაროს მუშების აღმასრულებელ კომიტეტთან. მიღებულ იქმნა მთავრობის შემდეგი წინადადება მუშებს ისე მოემატოთ ხელფასი, რომ მუშებს ჯამაგირი არ შეუმცირდეს მაღაროებში მუშაობის შემცირების გამო და იმ პირობით რომ ეს შემცირება 10—12 არ აღემატებოდეს.

ბულგარეთის ხელშეკრულების დამტკიცება.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბულგარეთის ხელშეკრულების საზღვაო და სამხედრო პირობები.

პუანკარეს დეპეშა მეფე ალბერტისადმი.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმა პუანკარემ ბელგიის მეფეს დეპეშით სხვათა შორის შემდეგი მისწერა: „საერთო ტანჯვის გადატანის შემდეგ ჩვენი ორივე ხალხი გამარჯვების ზეიმით გაერთიანდნენ.

ინგლისური პრესა.

ბულგარეთის გარშემო.

ბულგარეთის დელეგატები პარიზში ივლის 26 ჩამოვლენ. პარიზის გაზ. „ექსცელსიორ“ ი ამბობს, რომ ხელშეკრულების ძალით ბულგ. ტერიტორია შემცირდება, ზარალის ასანაზღაურებლად ბულგარეთმა უნდა გადაიხადოს 40 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი, რომლის უდიდესი ნაწილი გადაეცემა რუმინიას, სერბიას და საბერძნეთს „ჟურნალ“-ი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მოკავშირენი, მეტის მოთმინით ეპყრობიან, ბულგარეთს, ვიდრე ამას მოითხოვს, მისი ორმაგი დანაშაული. „ტაიმს“ ი ლაპარაკობს იმ სიძნელეზე, რომელსაც წარმოადგენს სხვა და სხვა საკითხების გადაჭრა, როდესაც სამართლიანობა და დიდსულოვანობა უნდა გამოიჩინონ მოკავშირეებმა რომელნიც ძალიან დაზარალდნენ. რასაკვირველია ბულგარეთი უნდა დაისაჯოს მაგრამ ჩვენ არა გვსურს ბუქარესტის ხელშეკრულების შეცდომათა გამეორება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს. რომ ზავი სამართლიანობაზე უნდა იყოს დამყარებული. ჩვენი მიზანია ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნა მომავალში და თუ ეს მოხდა, მაშინ ტერიტორიალური საკითხი მეორე ხარისხოვანი იქნება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეგეის ზღვის სანაპიროზე გაბატონებული ბერძნები ზღვისკენ გასავალს დაუკეტავენ ბულგარებს.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, ივლისის 20. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

გაფიცვები გერმანიაში

ნაუენი, ივლ. 26. სიმენსის ქარხნის 10,000 მუშის დათხოვნამ გამოიწვია რკინის და სხვა ქარხნების 30,000 მუშის გაფიცვა. მთელ გერმანიაში რკინის ჩამომსხმელთა გაფიცვასთან ერთად ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეებში მოძრაობა დაიწყო. საერთო გაფიცვების სასარგებლოთ. მიზეზი იყო ტელეგრაფიდან და ტელეფონიდან 287 მუშის დათხოვნა ივლისის 21 სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, ფოსტის მთავარ სამმართველოსთან მოლაპარაკების დროს ტელეგრაფისტები მოითხოვდნენ დათხოვნილი მუშების მიღებას და მათთვის დათხოვნის დროს ჯამაგირის მიცემას.

თუ 8 დღის განმავლობაში ეს მოთხოვნილებები არ დაკმაყოფილდეს მთელ გერმანიაში ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა მოხდება.

თეთრგვარდიელთა სიმკაცრე.

კიევი. ივლ. 24. ხარკოვიდან ჩამოსულების სიტყვით, თეთრგვარდიელთა მხეცობა გრძელდება. მთავრობასთან საჩივარს არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. ყაზახები გლეხებს ყველაფერს ართმევენ. კომუნისტებს უმიზეზოდ ხვრეტენ. მსხვერპლთა რიცხვი გამოურკვეველია. ტყვეებს ძალიან ცუდათ ეპყრობიან.

ამერიკელ მეზღვაურთა დემობილიზაცია.

ლონდონი. ივლისის 25. ამერიკის საზღვაო უწყებამ დაითხოვა 222.000 მეზღვაური, ხოლო გაიწვია 360.000.

ფინთა დამარცხება

ოლონეცკი, ივლ. 25. ოლონეცკის მიმართულებით თეთრგვარდიელთა ბრბოები ფინლიანდიის საზღვრებამდე მიერეკეთ. ჩვენს მხარეზე გადმოსულთა სიტყვით ფინლიანდიელ თეთრგვარდიელთა უმრავლესობა სახლში ბრუნდება.

პატარა ფელეტონი

წერილი პროვინციაში

ძმაო ნოე!

მაიღო თუ არა ეს წერილი, არც აციო, არც აცხელო, და შენც და შენი ბიძაშვილი სევერიან პაჭაჭიაშვილი თბილისს ჩამოდით! მინდა ბედი გწიოთ ორივეს. მაინც სულ მემდურებოდით—„დიდი კაცი გახდი და კი არა გვწყალობთ“ და აი ახლა მინდა ერთბაშათ დაგაყაროთ მჭირი! სენატორებათ გნიშნავთ, ბიჭო, სენატორებათ! იცი კი რა არი სენატორი?! მინისტრობას კი აღარ ჩამოუვარდება: კანონები უნდა გამოსცეთ და ...დასინჯოთ. შენი კი იმედი მაქვს, რომ არ შემარცხვენ რაც უნდა იყვეს, სოფლის კანცელარიაში „პისრათ“ იყავი და შორიდან მაინც გაიგებდი კანონი რა არი, მაგრამ სევერიანს რა უყო, რომ თავის დღეში „კონდუქტორობაში“ დალია და „პოეზდიდან“ არ გადმოუდგამს ფეხი. არა უშავსრა, კონტრ-რევოლიუციონერებს აღარ აჯობებს?! მხოლოდ შეხვეწე ჩემ მაგივრათ, რომ ცხვირის ჩიჩქნას გადაეჩვიოს... რაც უნდა იყვეს ცხვირის ჩიჩქნა და სენატორი როგორღაც ერთმანეთს არ მიუდგება. გარდა მაგისა, ხან და ხან „რაუტებსაც“ ვმართავთ, უცხოელების დასწრებით, და იმათში ცხვირის ჩიჩქნა თურმე სიბრიყვეა...

რა ვქნა, „საცა შევიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“... მეც ბევრ რამეს არ ვიყავ დაჩვეული, მაგრამ აგერ, რაც თბილისში ჩამოვედი, მეც და ჩემი ეფროსინეც ყოველ დღე ფრჩხილებს ვიწმენდავთ...

თბილისში რო მოდიოდეთ წინ და წინ დეპეშით მაცნობეთ, რომ სადმე სახლის რეკვიზიცია მოგიხდინოთ...

მაი თუ ბედში ჩაგაგდეთ! რა ზალა „გასტინა“ და „ვანნები“ გექნებათ, ბიჭო! ვინ პოლოსა, ვინ ესა!“ მოდი ნუ იტყვი, რომ „დრონი მეფობენ და არა—მეფენი!“

ხო და კიდეც მაგიტომ გვიკრატუნებენ კბილებს ბურჟუაზიული პარტიები! ღამის აჭაურობა დაანგრიონ, რომ უცენზო პირებსა ვნიშნავთ სენატორებათ!

„ჰაი თუ შესჯაჲს კნიაზი სამი შაურის პერამსა“ იურიდიულ ცენზს იმიტომ თხოულობენ, რომ თვითონ სუ უმაღლესი სწავლა აქვთ გათავებული და ჩვენ კი სემენარიაც გვენატრებოდა! მაგრამ ვერ მიართვეს! „ლუკმა გავარდეს—ჯამში ჩავარდესო!“

ხო, რას გეხვეწო თუ ძმა ხარ, ექვთიმეს გადაეცი: კაცო იმიტომ ხო არ დაგაყენე კომისსარათა, რომ ეგრე „უპრაგონოთ“ და აშკარათ ხვეტო ფულები და ხალხი შეაწუხოთქო.. რაც უნდა იყვეს, ჩვენ პარტიას ეკუთვნი და სახელს გვიტეხავთქო...

არა, აქ თუ არ გადმოვიყვანე და ჩემ თვალწინ არ ვიყოლიე ერთ ხიფათს შეგვანთხვევს და ლაფს დაგვასხავს... ჰკითხე, სენატორობა ხო არ გინდა თქო. თუ მოინდომოს მომწერონ... მაგრამ სად კომისსარის შემოსავალი და სად სენატორის ჯამაგირი!—არ მოინდომებს...

მაინც და მაინც ჰკითხე... უსწავლელობა ხელს არ დაგიშლით თქო... მაშ ეგრე, მაცნობეთ რო მოდიოდეთ—ვაგზალზე ავტომობილს დაგახვედრებთ.

შენი მოსიყვარულე ძმა **გალაქტიონ.**

აშ—დონატო.

ქართველ მაჰმადიანთა მიტინგი აჭარის წყალზე

სამაჰმადიანო საქართ. განმათავისუფლ. კომიტეტმა ქართ.-მაჰმადიანთა მიტინგი მოაწყო აჭარის წყალზედაც. 28 ივლისს დილიდანვე მახლობელ სოფლებიდან მოდიოდენ მიტინგის მონაწილენი. შუადღისას დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯგუფ-ჯგუფათ თავმოყრილ ხალხში მიტინგის გახსნამდე გაიმართა ბაასი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. იყო ლაპარაკი დენიკინის საფრთხეზე. განმათავისუფლებელ კომიტეტზე, საქართველოზე მის მთავრობაზე.—რაც წაგვკიდეს, ეყოფათ რუსეთის შავრაზმელებს აწი ვეღარ გაგვაბატონებენ ჩვენზე, დაგვაყენონ აშ ჩვენ ქვეყანაში,—ამბობდნენ დენიკინელთა შესახებ. ჩვენ გვინდა ერთობა ჩვენ ძმებ ქართველებთან.

— ყველგან ჯაბა-ჯუხია,—ჩაერია ლაპარაკში მოხუცი ქართველი მაჰმადიანი,—რუსეთში ერთი მეორეს წყვეტენ, სისხლის ზღვა დააყენეს. საქართველოში კი სიწყნარეა. ქართველებმა დიდი საქმიანობა გამოიჩინეს, ძლიერ კარგად მოაწყეს საქმე. ჩვენ მათთან უნდა ვიყოთ და ვინც ამას დაგვიშლის, მას საკადრის პასუხს გავცემთო.

ყველა დიდი მადლობით იხსენიებდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის მოღვაწეობას.

ამასობაში ავტომობილებიც გამოჩნდენ ბათუმიდან. მოვიდენ წარმომადგენლები ქობულეთისა, ჩაქვისა, ხულოსი, ქედისი, ართვინისა, ბათუმისა და სხვა ალაგებიდან. ხალხი დიდის ალტაცებით შეხვდა მათ. მიტინგი გახსნა განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ მემედ-ბეგ აბაშიძემ, რომელსაც ხალხი ტაშის ცემით შეეგება. მემედ-ბეგმა აუხსნა ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, განმათავისუფლებელ კომიტეტის მიზანი და მოწოდება ამ მიზნის განხორციელებისათვის სამუშაოთ.—ფართო ავტონომია დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში,—აი ჩვენ მიზანი,—სთქვა მემედ-ბეგმა. სხვა გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ეს ერთად-ერთი სწორი გზაა და ამ გზას არ უნდა გადაუხვიოთ. ხალხი ტაშის ცემით და „გაუმარჯოს საქართველოს“ შეძახილით შეხვდა ამ მოწოდებას.

ილაპარაკეს ხოჯი ისკენდერ ეფენდიმ, სულეიმან-ბეგ აბაშიძემ, ხასან ეფენდი ლორთქიფანიძემ, მუფტი ხუსეინ ავნი ეფენდი დევიძემ, სულეიმან ბეგ ხიჭანიძემ, ჰმულ ალა კაიკაციშვილმა და სხვებმა.

მიტინგმა მიიღო ის რეზოლიუციები, რომლებიც მიღებულ იქნა ქობულეთის და ბათუმის მიტინგებზე. ორატორების სიტყვას ხალხი ტაშის ცემითა და ოვაციებით ხვდებოდა. მიტინგი გაიმართებოდა ქედაშიც.

სასამართლოში

ტრიფონ ჯაფარიძის საქმის გარჩევა.

(გაგრძელება)

მოწმეთა დაკითხვა.

მოწმე აგრაფენა ცქიტიშვილი: მკათათვის 18-ს ნაშუადღევის 6-ს საათზე ტრიფონ ჯაფარიძესთან, რომლის ახლოშიაც მე ვცხოვრობ მოვიდნენ გვარდიელები ბარბაქაძე, ბუხრიკიძე და ბოლოქაძე და პირდაპირ განაცხადეს სახლი უნდა გაეჩხრიკოთო. ტრიფონმა ეჭვი აიღო და უთხრა: „მე ვერ შევალ, ჯერ თქვენ შედით და მერე მეც მოგყვებითო“. არც ისინი შევიდნენ და ცოტა ლაპარაკის შემდეგ სახლისკენ რომ გაემართენ, ძაღლმა შეუყეფა. ერთმა იმათგანმა თოფი მოიმარჯვა და ძაღლს სროლა დაუჭირა. ტრიფონი შეეხვეწა: ნუ მომიკლავთ ჩემი ერთად ერთი დამცველი ეგ ძაღლი არის, და ამ სიტყვებით წინ შევიდა სახლში, გვარდიელებმა ამაზე უთხრეს „ძაღლი კი არა აქ კაციც მოკვდებაო“. მე ბოლოქაძემ მითხრა: „თქვენ სახლში შედით, თქვენთან არაფერი საქმე არა გვაქვსო“ ამ დროს ტრიფონმა მეუღლე შტაბში გაგზავნა გვარდიელების სიმართლის გამოსარკვევად. ამ დროს მე გარედ ვიდექი და გვარდიელებმა მე და ჩემს ბავშვებს გვითხრეს (ბოლოქაძემ). შედით სახლში, თქვენთან საქმე არა გვაქვსო. ამის შემდეგ დაუწყეს სროლა ტრიფონს. ტრიფონი კი გაიქცა უკანა კარებით და სხვაგან დაიმალა.

— კიდევ იყო ვინმე თქვენთან?

მოწმე: იქ სწორედ ეზოში არავინ ყოფილა, ხოლო გვერძე კი მეზობლები სცხოვრობენ რომელთაც სროლის ხმა გაუგონიათ.

— როგორ გგონიათ ბუხრიკიძე ჯაფარიძის მოსაკლავად მოვიდა?

მოწმე: უეჭველად.

— ლაპარაკის დროს ტრიფონ ჯაფარიძეს ჯიბეში ხელი ხომ არ ჩაუყვია?

მოწმე: არა ხელები გულზე ჰქონდა დაჭდობილი ხელი არ ჩაუყვია ჯიბეში.

ბრალდებული ბოლოქაძე: ჩვენ ეზოში ვიყავით, სახლში არ შევსულვართ და სროლითაც ბუხრიკიძის გარდა არავის უსვრია. მხოლოდ მ. 5 ისროლა ორჯერ.

დამცველი ეკითხება მოწ. აგრაფენა ცქიტიშვილს:

— როდესაც ტრიფონი გაიქცა, თქვენ ხომ არ გითქვამთ გვარდიელებისათვის რათ ისვრითო, რაზედაც მათ თქვენ გიპასუხეს რომ ჩვენ ჰაერში ვისვრითო.

მოწმე: მართალია, ასე სთქვეს მაგრამ კარები გახვრეტილა ტყვით.

მოწმე პეტრე ცქიტიშვილი (შუახნის, მეუღლე აგრ. ცქიტიშვილისა, მეზობელი მოკლულისა) ჩვენება გვარდიელების საქციელის შესახებ ისეთივეა როგორიც წინა მოწმეებისა, მხოლოდ ერთი მომენტი, სახელდობრ პირველი სროლის მომენტი მის ჩვენებაში ახალია. „ბოლოქაძე სულ ხუთ ნაბიჯზე იყო როდესაც პირველად ესროლა. ბარბაქაძემაც ისროლა. ბუხრიკიძეს, როგორც განსვენებული ამბობდა, ტრიფონის ჯავრი სჭირდა. ამ ამბავს მე გაღებულ კარებიდან უცქეროდი.

დამცვ. პ. ქავთარაძე ეკითხება მოწმეს:

— როგორ გგონიათ, რომ სდომებოდა მოარტყამდა თუ არა ტყვიას ბოლოქაძე.

— რა ვიცი მოარტყამდა თუ არა მაგრამ მორტყმა რომ უნდოდა ეს კი ვიცი.

მოწ. იოსებ ძნელაძე: (მოხუცებული, ჩოხოსანი) სასამართლოს უამბობს თვით ჯაფარიძის ნალაპარაკევს ჩხრეკის შესახებ. ჩვენებაში ახალი ის არის რომ მისი სიტყვით სამივე გვარდიელს უსვრია. ჯაფარიძეს მოწმესთვის უთქვამს, რომ გვარდიელებს ბატიება სთხოვეს, მაგრამ ტრიფონმა უპასუხა მაშინ შეგირიგდებით, როდესაც დამნაშავეს მომცემთო. ვინ არის ეს დამნაშავე მოწმე ვერ ასახელებს.

მოწ. ვას. ციციშვილი (სურამის კომისარი) მე ვარ მნახველი თვით ამ მკვლელობისა, როდესაც ტრიფონ ჯაფარიძე კომისარიატიდან გამოვიდა მე გზაზე შევხვდი და გამაჩერა. მიამბობდა თავის თავგადასავალს, მიამბობდა რომ მას ხაშურში სდევნიან, სამჯერ გასჩხრიკეს და ეხლაც არ ეშვებიან. თვით კომისარიატში ყოფნის დროს როდესაც ის მეორეჯერ დაბრუნდა ტრიფონ ჯაფარიძემ რამდენჯერმე გაუმეორა ბარბაქაძეს და ბოლოქაძეს, რომელნიც მკათათვის 17-ს ტრიფონთან შემთხვეულ ამბავს ნანობდნენ. „მე თქვენთან საქმე არა მაქვს“ ამაზე კომისარმა (ჩანტლაძემ) სთქვა რომ თქვენ კიდეც რომ შერიგდეთ მე ჩემს საჩივარს მაინც აღვძრავ დამნაშავესადმიო. ამის შემდეგ გარედ, კომისარიატის ეზოში ხელჩაკიდული დიდხანს მელაპარაკებოდა. ამ დროს ჩვენ წინ გაიარა ვიღაც სქელმა კაცმა. შემდეგ ისევ გაიარ-გამოიარა. უკანასკნელად გამოვლის დროს ესროლა რევოლვერი გვერდიდან მე თვალი დამიბნელდა და ყურებზე ხელი მოვიჭირე, მეტი არაფერი დამინახავს.

— თქვენ წინა ჩვენებაში ნათქვამი გაქვთ, რომ მკვლელმა წაქცეულს კი დეგ ესროლაო.

— მართალია.

— მაშ თუ მართალია, როგორ მოხდა რომ ეხლა ამბობთ თითქოს პირველი სროლის შემდეგ თქვენ გონება წაგერთვათ და ვეღარ იგებდით, თუ ვინ ისროდაო.

ვინ ისროდა, მე ვერ ვიგებდი, მხოლოდ გავიგე ბურანში მყოფმა რომ სროლის ხმა სულ ერთი მხრიდან მოდიოდა.

— თუ გახსოვთ ის მკვლელი ამათ ხომ არა ჰგავს (უთითებენ ბრალდებულებზე).

— არა, სრულებით ის, სქელ-სქელი კაცი იყო.

მოწმე გალაქტიონ ჯაფარიძე. (მოკლულის ძმა).

1908 წელს ჩემი ძმა ხაშურში დასახლდა, მე კი სამხედრო სამსახურში წამიყვანეს. ხაშურში დასახლებიდან განსვენებულ ჩემ ძმას თავი ჰქონდა გადადებული საზოგადო საქმისათვის. დღევანდელი არც ერთი საქმე არ არის რომ მას თავისი წვლილი არა ჰქონდეს შეტანილი ვაჟთა გიმნაზიის დაარსებაში, სამკითხველოს, დრამატიული წრის, კოოპერატივის, ქალთა გიმნაზიის დაარსებაში თუ სხვა რამე კულტურულ საქმის დაწყებაში ყოველთვის მონაწილე იყო და მონაწილე გულწრფელი და ენერგიული. ასეთი ხალხი, როგორც იცით, ყოველთვის დევნილ არიან და მასაც სდევნიდნენ, სდევნიდა მთავრობაც კი. 1914, ომის დაწყებისას მე ისევ სამხედრო სამსახურში წაველი და სახლში რა ხდებოდა არ ვიცოდი, გარდა იმისა რაც წერილებიდან არ მქონდა გაგონილი. როდესაც ფრონტი დაიშალა და ჩვენმა ჯარმა დაბრუნება დაიწყო სწორედ ამ დროს გამოიცა ეროვნულ საბჭოს მოწოდება ქართველ ჯარისკაცებისადმი, რომლითაც მოუწოდებდნენ ფრონტზე დარჩენილიყვნენ და მეც ჩემი ძმის თანხმობით ფრონტზე დავრჩი.

თებერვალში ფრონტზე ყოფნის დროს მომივიდა წერილი ძმისა, სადაც მწერდა რომ 5 თებერვალს თავს დაგვესხნენ, გამჩხრიკეს და ბერდენკა წამართვესო. ფრონტიდან წამოვედი რადგან ძმა მწერდა ტრიფონი იმერეთშია და არ ვიცი რავქნაო. მოვედი ელისაბედიშვილთან, კომისართან, მან მითხრა არ ვიცი არაფერიო, შემდეგ ვნახე თავდაცვის კომიტეტიდან კორძაია და თოფი დავაბრუნებინე. ძმა დაბრუნდა ხაშურში. ამის შემდეგ თბილისში ყოფნის დროს ჩემი ძმისგან წერილი მივიღე სადაც მეხვეწებოდა: სთხოვე გუბერნიის კომისარს კოწია ჯაფარიძეს, მომცეს ნებართვა, თუ მან არ მოგცეს შეიძლება ჟულელისაგან მაინც გამოიტანოო და სხვ. მე დავიწყე ამ საქმეზე ცდა და გადავწყვიტე კოწიასთან მისვლა, მაგრამ კოწია ჯაფარიძე ამ დროს თურმე დუშეთის საქმეების გამოგადამდგარიყო, მივედი ჟულელთან და ჟულელი მაშინ ფრონტზე იყო, ასე რომ ეს საქმე დამრჩა ისე გაუკეთებელი, მეორე წერილი 19 მკათათვეს მივიღე ხაშშის ხელით რომელშიაც იწერებოდა: რასაც მოველოდი მოხდა, მოვიდა 3 გვარდიელი, შარი მომდეს სროლა ამიტეხეს და რაღაც სასწაულით გადავრჩიო. მე მეორე დღესვე ჩავედი ხაშურში კვირა დღეს შემხვდა შტაბის უფროსი სიხარულიძე, რომელსაც უთხარი: რა არის, რომ ჩემ ძმას იარაღის ნებართვის არ აძლევთ მეთქი. ვიცი ყოველგვარი სახელმწიფო მონარქიული, ანარქიული დემოკრატიული მაგრამ რომ კაცის მკვლელი დაუსჯელი დადიოდეს არსად მინახავს მეთქი. ამ დროს ჩაიარა ბოლოქაძემ რომელსაც რევოლვერი ეკიდა, მე სიხარულიძეს მივუთითე რაზედაც სიხარულიძემ ბავშურად რწმუნება დამიწყო რომ ის რევოლვერი რომელიც ბოლოკაძეს ჰკიდია არ ისვრისო, რაც შეეხება დასჯას მე ჩემი საქმე გავაკეთე ისინი გამოვრიცხე და მეტი არც არარა შემიძლიანო. კაკი წერეთელი რომელიც მიტინგებს ჰმართავდა ხაშურშიაც იყო, და ადგილობრივ ადმინისტრაციასთან რომ ჩემმა ძმამ ვერა გააწყო რა მასთან უნდოდა მისვლა და თხოვნა მაგრამ ინაშარიძემ საქალაქო კომისარმა და სხვებმა უთხრეს მაგაზე ნუ შეაწუხებთ, ჩვენ თითონ მოგიხერხებთო და ისიც დასთანხმდა.

თბილისში ოთახი ვიქირავე და ვეუბნებოდი ჩემთან წამოდი მეთქი მაგრამ არ გადმოსახლებულა.

(დასასრული იქნება).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და წიგნთ-საცავი

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა, პროფეს. ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი შუამდგომლობით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს.

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ბერიტაშვილმა, რომელიც ამ ჟამად ქ. ოდესაში იმყოფება და თბილისისკენ გამოსამგზავრებლად მზად არის, უნივერსიტეტის დავალებით ადგილობრივ, ოდესაში, შეიძინა პროფ. მედვედევისგან ძვირფასი წიგნთ-საცავი ფიზიოლოგიისა და ფიზიოლოგიურ ქიმიის დარგებში; ეს ბიბლიოთეკა წონით 40—50 ფუთამდე იქნება და შესყიდულია ქართული უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, მაგრამ უკრაინის ადგილობრივი მთავრობა პროფ. ბერიტაშვილს ნებას არ აძლევს თბილისში გადმოიტანოს ეს ბიბლიოთეკა და ამ მიზნით იგი სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადა.

სახალხო განათლების სამინისტრომ ქართულ უნივერსიტეტის რექტორის ასეთი განცხადება აცნობა გარეშე სამინისტროს და სთხოვა სათანადო ზომების მიღება, რათა პროფ. ივ. ბერიტაშვილმა შეძენილი ბიბლიოთეკა თბილისში დაუბრკოლებლივ გადმოიტანოს და თვითონაც შეუფერხებლივ გამოემგზავროს.

კორესპონდენცია

ს. ქარელი.

მინდვრიდან ოთხმა უცნობმა შეიარაღებულმა გაიტაცეს ზაქარია შავდათუაშვილი. ჰკითხავის ძმა, ცოლს, რომელმაც ვახშამი მიუტანა, უნდოდა წასარჩლეზე, მაგრამ თოფის კონდახით მოიშორეს. ეჭვი მახლობელ სოფლების ოსებზე აქვთ. ამ გარემოებამ ხალხი შეაფიქრიანა: შიშობენ ძველი მშვიანობის დროს წაავლის ალმოჩენაზე ზომებია მიღებული.

მეთვალყურე.

სურამი.

დიდი ხანია სდუმან სურამზე: მაგრამ დიდი ხანია აგრეთვე, რომ სდუმს თვით სურამიც. თუმცა სურამის ციხის ოდესღაც ამთვარეებული კიდლები სულ სხვას მოწმობენ.

ქალაქია სურამი. მაგრამ ამ გაქალაქებამ თითქოს უფრო მოადუნა იგი: არ ეტყობა გაქანება ცხოველი.

ქალაქის საბჭო:—კარიკატურის კომპარიები, რომელნიც მწარე სიცილს ჰგვრიან კაცს; კინკლაობა და ქინიანობა პროვინციალური. სხდომა: საბჭოს წევრს შემოაქვს წინადადება ხმოსანთა იმუნიტეტის შესახებ,—ერთი წევრი საბჭოსი დაუთვრალიყო და როგორ გაბედეს ამაზე ოქმის შედგენაო. ვიღაცას უნდა მუშაობა და ფილაც უშლის. ესეთია საბჭო.

სხვა რამ დაწესებულება ან სულ არ არსებობს, ან სევდას შეუპყრია და ვერ მუშაობს. მართლა—„მანდილოსანი“;—ბევრსა ფიქრობს გაუხსნია საფეიქრო და მიჩქმერობის კურსები; მერე კიდევ რაღაც უნდათ. ვნახოთ, რითი დამთავრდება ეს პროლოგი.

ხალხმაც თითქმის დაივიწყა სურამი,—მოაგარაკეებისაგან თითქოს ცარიელია სურამი. თუმცა ყველასაგან მიტოვებული მისი ქუჩის მტვრის ულაპვა ალბად არ ეინტერესებათ. მტვერი კი ბევრია. ამას აჭაური სოციალდემოკრატებიც ამოწმებენ თურმე.

სამკითხველოში — „ბურჟუაზიულ“ გაზეთებს არ იწერენ. მხოლოდ ამ მხრივ ეტყობა განათლება სურამს.

დარჩება ისევ სურამი კარგი—ჰაერით და ცუდი—ხალხით.

ძველი სიზმრები აგონდება სურამს.

გ. ხრონშტეინი.

თეატრი და მუსიკა

კვირას, 3 აგვისტოს, მუშტაიდში იმართება პირველი კონცერტი მომღერალთა გუნდისა „კაპელას“-ი ეს ქალვაჟთა გუნდი ქართ. სამუსიკო საზ. და კოოპერატივთა კავშირმა დაარსა იმ მიზნით, რომ უპირველესად შეიქმნას ახალი რეპერტუარი, განვითარდეს ჩვენში სერიოზული მუსიკალური ხელოვნება და ამ საძირკვლით ხელი შეეწყოს ერის მუსიკის ალორძინებას; მეორე—მასალის შეძენის შემდეგ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იყოლიოს საუკეთესო აღმასრულებელი ძალა, რაც უკვე ზემო აღნიშნულ საზოგადოებებმა შეიძინეს.

შესამე—ყოველივე დაწერილი, თუ ხალხური შემოქმედება გამოიტანოს თვით ხალხში და დაატკბოს მათი სმენა, განავითაროს ესთეტიური გრძნობა.

ეხლა იწყება სწორედ ის ხანა, რომელსაც ჩვენ იდეალად ვისახავდით და ქართველი ერი ბუნებრივად მეტად დაჯილდოვებულია ამ მხრივ.

კაპელა გამართავს მხოლოდ ერთ კონცერტს ქ. თბილისში (ბილეთები არ იყიდება, რადგან ეს კონცერტი იმართება მხოლოდ ჩვენ დემოკრატიის კულტურულ-სულიერ გასართობად), რომლის შემდეგ კაპელა გაემგზავრება ფრონტზე ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველთათვის ლაშქრისა და გვარდიისთვის სულიერ საზრდოს მისაწვდენად. ამის შემდეგ კაპელა შემოივლის დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებს.

ილიკო აბაშიძე.

თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართები

1) ინგლისის მთავარი შტაბი. -რეტიშჩევის ქ. № 7.
2) ფრანგულ მისიის უფროსი პოლკ. მარდინი პეტრე დიდის ქ. № 3
3) შვეიცარული საელჩი ბებუთოვის ქ. 15.
4) ფრანგული მისიისა—პანასევიჩის ქუჩ. 3.
5) პოლონეთის სამეფო წარმომადგენელი—მადათოვის ქ. 1.
6) ლიტვის წარმომადგენელი კირშის ქ. 45.
7) აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, კანცელარია—დავითის ქ. 5
8) უკრაინული მისსია,—ვერის დაღმართი 3
9) უკრაინის მთავარი ელჩი ლესნიაკი ვერის თავდაღ. 3
10) სპარსეთის მთავარი ელჩი—გუდოვიჩის ქ. 7
11) ესპანური [illegible] ლების ქ. 9
12) შვეიცარიული საგანგებო დელეგაცია დიდუბე „ფლერას“ ვილლ.
13) საბერძნეთის სამეფო ელჩი—სასტუმრო „ბელვიუ“
14) სომხეთის წარმომადგენელი—გოლოვინის პრ. 8
15) ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი—ქალთა პირველი გიმნაზია
16) იტალიის წარმომადგენელი სასტუმრო „ორიანტი“.
17) ამერიკული სამხედრო მისსია—სერგიევის ქ. 16
18) ბელგიის ელჩი—ელისაბედის ქუჩ. № 183.

მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ.	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

ქალთა ავათმყოფობის
მკურნალი-სპეციალისტი
პ. ლ. ოზოლაძე
საუფლისწულო ქ., 8 (Удѣльная 8)
პირობით ვარჩენ საშვილოსნოს ავადმყოფობისაგან (раздраженіе и бѣшенство матки).
მიიღება საღამოს 3—7 საათამდი.
7—2545—6

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ცუცულაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, პლეჭისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7- 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

[illegible] სამინისტროს სტამბა. ლორის-მელიქოვის ქუჩ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა